ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01171172786**

გაცემის თარიღი: **27.04.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
შპს პაშა დეველოპმენტ ჯორჯია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402013628
მისამართი: ძევერის ქ. #20

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 24 აპრილის #10/01171141543-18 წერილი და დოკუმენტები, რომლითაც ითხოვთ შპს ..პაშა დეველოპმენტ ჯორჯია"ს კუთვნილ ტერიტორიაზე საინვესტიციო პაკეტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დ. აბაშიძის ქ. #17-ში და #17/4-ში (საკ/კოდ 01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) თქვენს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, გასცემს ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"ს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული 16 (თექვსმეტი) ძირი მარადმწვანე კვიპაროსის (#1-35სმ, #2-48სმ, #4-76სმ, #5-51სმ, #6-57სმ; #7-61სმ, #9-61სმ, #15-27სმ, #25-29სმ, #26-46სმ, #27-40სმ, #29-42სმ; #30-40სმ, #31-39სმ, #32-42სმ, #44-38სმ), 3 (სამი) ძირი თუთის (#10-96სმ, #21-89სმ, #22-19სმ), 2 (ორი) ძირი ცაცხვის (#13-35სმ, #14-38სმ) და 1 (ერთი) ძირი აკაციის (#23-20სმ) მოჭრის ნებართვას ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავის ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეგმისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

3 (სამი) ძირი ხმობადი, დაავადებული კვიპაროსი დიამეტრებით #3-73სმ, #28-29სმ, #216-48სმ (აღნიშნული მწვანე ნარგავები აღარ ექვემდებარება განკურნებას) შესაძლებელია მოიჭრას ამავე კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ..ა'' ქვეუნქტის თანახმად აღდგენითი ღირებულების გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს 3420 (სამიათასოთხასოცი) ლარს. მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს აღდგენითი ღირებულება და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ხილ-კენკროვანი მცენარეების მოჭრა (#8 ჭერამი) კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი